**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 23**

დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

ქ. თბილისი 24.01.2024 წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კობა ხუბუნაიას სახით, (შემდგომში "რეგისტრანტი") და მეორეს მხრივ, შპს "პროსერვისი" როგორც დომენის რეგისტრატორი მისი დირექტორის რევაზ ნატროშვილის სახით (შემდგომში "რეგისტრატორი") შემდეგში ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე", ვმოქმედებთ რა თითოეული ორგანიზაციის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ვებგვედრზე (www.proservice.ge) რეგისტრანტის უფლებამოსილი წარმომამდგენლის მიერ შევსებული განაცხადით მოთხოვნილი ინტერნეტდომენური სახელების filmcommission.ge, filmingeorgia.ge, რეგისტრანტისათვის წინამდებარე ხელშეკრულების, "GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების" (როგორც ეს გამოქვეყნებულია საიტზე www.proservice.ge) და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის შესაბამისად, დროებით სარგებლობაში გადაცემა.

1.2. შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 24.01.2024 წლის N1-28 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, (დანაყოფის კოდი – CPV72417000 დომენური სახელები).

1.3. დაფინანსების წყარო: 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

**მუხლი 2. მომსახურების/ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ორმხრივად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით.

2.2. რეგისტრანტს ინტერნეტდომენური სახელები დროებით სარგებლობაში გადაეცემა შემდეგი ვადით: filmcommission.ge - 27/01/2024-26/01/2025, filmingeorgia.ge - 27/01/2024-26/01/2025.

**მუხლი 3. ღირებულება და გადახდის წესი**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნული ერთი ინტერნეტდომენური სახელის სარგებლობაში გადაცემისათვის განსაზღვრული ღირებულება შეადგენს 30,00 (ოცდაათი) ლარს, ხოლო ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **60** (სამოცი) ლარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვის) ფორმით, მიღება–ჩაბარების აქტის ან/და ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის ან/და ინვოისის ან/და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

**მუხლი 4. მხარეთა უფლებამოვალეობები**

4.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:
მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და შეასრულოს GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები (www. proservice.ge);

ბ) ყოველწლიურად, დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა;

გ) მიაწოდოს რეგისტრატორს სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (www. proservice.ge);

დ) არ დაუშვას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ინტერნეტდომენური სახელით დარეგისტრირებულ ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება;

ე) არ დაუშვას მის მიერ ვებგვედრზე (www. proservice.ge) რეგისტრაციის დროს მითითებული სახელისა და პაროლის გადაცემა მესამე პირებზე;

ვ) წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ იმოქმედოს სხვა (მესამე) პირ(ებ)ის დავალებით ან სასარგებლოდ;

4.3. რეგისტრატორს უფლება აქვს: მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესები და პირობები ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.4. რეგისტრატორი ვალდებულია:
ა) გაუწიოს რეგისტრანტს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;
ბ) მიიღოს გადაწყვეტილება დომენური სახელის რეგისტრაციასა ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების დაცვით
(www. proservice.ge);
გ) უზრუნველყოს რეგისტრანტის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

## მუხლი 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. რეგისტრატორი არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ რეგისტრანტის სარეგისტრაციო მონაცემების (ვებგვედრზე (www proservice.ge) ნებისმიერი სახით გამოყენებაზე. რეგისტრანტისათვის ცნობილია, რომ ვებგვერდზე (www.proservice.ge) შექმნილი პროფილიდან შევსებული განაცხადი, ან ნებისმიერი ხასიათის სხვა მოთხოვნა მხარეებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა მოთხოვნის შესაბამისი ვალდებულებები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ნებისმიერი ხასიათის შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე საკუთარ პროფილში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტაზე.

5.3. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,01%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები და ცვლილებების შეტანა

6.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

6.1.1. მხარეთა შეთანხმება;

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა.

6.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.
6.2. GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობების 1.11 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დადგომა.
6.3. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
6.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელსეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია ერთჯერადად მიმართოს შპს "პროსერვისი" დავების განმხილველ სამსახურს, რომელიც, არის მისი შიდა ფუნქციური ორგანო.

7.3. ნებისმიერ დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულებიდან ანდა შეთანხმების არსებობის, ნამდვილობისა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1.მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების ნაწილობრივი, ან სრული შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების გამო. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურებები, დივერსია, ხანძარი,

ბლოკადა, ელექტროენერგიის კრიზისი, ცვლილებები კანონმდებლობაში  და სხვა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

8.2.ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დამთავრებისთანავე მხარეებმა უნდა განახორციელონ ასეთი გარემოებების დადგომამდე ნაკისრი  ყველა ვალდებულება.

## 9.ხელშეკრულებაზე შესრულების კონტროლი

9.1. „რეგისტრანტი“ უფლებემოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად, მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის  მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და რეგისტრანტის მოთხოვნებთან.

9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ  წერილობით აცნობებს რეგისტრატორს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

9.3. „რეგისტრანტის“ მხრიდან კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე დაეკისროს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერს.

## 10.  ხელშეკრულების მიღება–ჩაბარების წესი

10.1. მომსახურება  გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა ან/და „რეგისტრანტისთვის“ ანგარიშ–ფაქტურის (ინვოისი),  ან სასაქონლო ზედნადების გადაცემის შემდეგ.

## მუხლი 11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

11.3. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

11.4. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

11.5. ხელშეკრულებას თან ერთვის GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებისა და პირობები, რომელიც ძალაშია ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.6. ხელშეკრულებას შეიძლება თან ერთვოდეს დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია მასთან და ასევე წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (რეგისტრანტის მიერ ვებგვერდზე www. proservice.ge შევსებული ელ. განაცხადი დომენური სახელის რეგისტრაციაზე). ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეებმა საკუთარი უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ზემოთმითითებულ დღესა და წელს გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

11.7.წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „რეგისტრატორი“ | „რეგისტრანტი“ |
|---|---|
| შ.პ.ს. “პროსერვისი” | სსიპ საქართველოს  კენემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი |
| ქ.თბილისი | ქ.თბილისი 0105 |
| პეტრე ქავთარაძის ჩიხი #3 | სანაპიროს ქ. # 4 |
| ს/კ 204929168 | ს/კ 204425121 |
| ს/ს „თი–ბი–სი“ ბანკი | სახელმწიფო ხაზინა |
| ბ/კ TBCBGE22 | კოდი: TRESGE22 |
| მ/ა GE28TB0600000303467561 | ა/ა 708067519 |
| ტელ: 2233 005; 2508 333 | ტელ: /2999 200 / |
| დირექტორი | დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი |
| რევაზ ნატროშვილი | კობა ხუბუნაია |

Revaz Natroshvili 01008001002 Digitally signed by Revaz Natroshvili Date: 2024.01.24 12:13:38

LEPL Georgian National Film Center Digitally signed by LEPL Georgian National Film Center Date: 2024.01.24 12:20:55 +04'00'